გია გელაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ელიმ ჰენრი დ'ავიგდორი თბილისის შესახებ

ინგლისელი მოგზაური ელიმ ჰენრი დ'ავიგდორი (1841–1895) დაიბადა ნიცაში, საფრანგეთში. იყო უფროსი ვაჟი ფრანკო-ებრაელი გრაფის სოლომონ ჰენრი დ'ავიგდორისა და ინგლისელი ქალბატონის რაქელ გოლდსმიდის. მშობლები გაიყარნენ მის ბავშვობაში და დედამ წაიყვანა ლონდონში. აქ ის მსახურობდა სამოქალაქო ინჟინრად. 1866 წელს დაქორწინდა ჰენრიეტა ჯაკობსზე, რომელთანაც ჰყავდა ხუთი შვილი. 1880 წელს ის შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას და დაწერა ექვსი ნოველა სარისკო თემებზე (მეტწილად ნადირობაზე) ფსევდონიმით „მოგზაური". დამატებით მას ეკუთვნის სამოგზაურო წიგნი, ძალზე საინტერესო ნაშრომი – „ჩანაწერები კავკასიის შესახებ" (ლონდონი, 1883). წიგნში მოცემულია მთელი საქართველოს მეტ-ნაკლები აღწერა, რომლის მესამე თავი ეხება თბილისს, რაც ამჟამად წარმოვადგინეთ.

ტფილისის აღწერა

(ტფილისის საზოგადოება – სახალხო გართობები – აბანოები – ზნე-ჩვეულებები და სხვა)

ტფილისი მნიშვნელოვანი ქალაქია, ნაწილობრივ ევროპული, ნაწილობრივ აზიური; გაშენებულია მდინარე მტკვრის (ან კირუსის) გასწვრივ, უნაყოფო (შიშველ) მთებს შორის მოქცეულ ხეობაში. მას დედაქალაქობისთვის მოუხერხებელი მდებარეობა აქვს, მაშინ როცა ერთი მილით ზევით მდინარის ორივე ნაპირზე არის მშვენიერი გაშლილი ტერიტორიები. ამის მიზეზია ცხელი მინერალური წყლის აბანოები, მდებარე ვიწრო ხევში, ციცაბო მთების ქვემოთ. ისინი უფრო დაფასებულია ქართველებისა და სპარსელების მიერ, რომ-

ლებსაც, ჩრდილო აზიელების მსგავსად, ეჯავრებათ ცივი განბანვა. თავდაპირველი ქალაქი მათ ირგვლივ ჩამოყალიბდა.

ორიგინალურ აზიურ ქალაქს რუსებმა მიუმატეს ევროპულიც – სხვათა შორის, უმრავლეს რუსულ ქალაქებზე გაცილებით უკეთ ნაშენი, მნიშვნელოვანწილად დაპროექტებული უცხოელთა და აგებული ბერძენი და სპარსელი კალატოზების მიერ. ტფილისს უჭირავს 3-4-ჯერ მეტი ფართი, ვიდრე საუკუნის დასაწყისში; ის უმჯობესდება და პროგრესირებს ყოველწლიურად. აქ არის ოთხი საკმაოდ კარგი სასტუმრო (ფრანგული), ორი დიდი კლუბი, თეატრი, იპოდრომი და სამი საზოგადო ბაღი; ასევე, მრავალი გერმანული ლუდის ბაღი და მსგავსი. ის უკვე უკავშირდება რკინიგზით შავი ზღვის ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებს [1], მალე კასპიის ზღვასაც.

უცხო ელემენტი კარგადაა წარმოდგენილი; თუ ყველა არა, ევროპელი და მრავალი აზიური ეროვნებების სუბიექტები ყოველთვის სახეზეა. ევროპული ნაწილის კაფეებში მოგზაური აღმოაჩენს ფრანგს, იტალიელებს, გერმანელებს, ავსტრიელებს, პოლონელებს, ცივილიზებულ სომხებს, ბერძნებს; იშვიათად სერბებს, მოლდაველებს, უნგრელებს, თურქებს და სირიელებს (ქარვასლებში, თუკი მოინდომებს და შეუძლია თურქულად საუბარი, დაუბრკოლებლად გამონახავს ჩრდილო აზიის, ხორასნის, სპარსელების, თურქმანების, ყირგიზების, ყალმუხების, ნოღაელი თათრების წარმომადგენლებს; ხანდახან ხიველებს, კოკანდელებს და ავღანელებსაც). რაც შეეხება ევროპელებს, რუსების შემდეგ ყველაზე ბევრია გერმანელი, შემდეგ მოდიან პოლონელები, ფრანგები, იტალიელები და ბოლოს ინგლისელები, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ დააგეგმარეს და შეასრულეს საზოგადოებრივი სამუშაოების უმეტესობა, რკინიგზები და ა. შ., არიან ყველაზე ცოტანი.

ტფილისის საზოგადოებას წარმოადგენს მეფისნაცვლის შტაბი, სადაც ყოველთვის მსახურობენ მაღალი (წარჩინებული) გვარების და რანგის ოფიცრები; სამოქალაქო მმართველობა – გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, მოსამართლეები, ქალაქის საბჭოს წევრები და ა. შ. რაც შეეხება ადგილობრივ არისტოკრატიას, ესაა ქართველი თავადები და მათი ოჯახები, ოფიცრები გენერალური შტაბიდან, რომელთა უმეტესობა პროფესიული და სოციალური თვალსაზრისით ძალზე დაწინაურებული პიროვნებები არიან; დაბოლოს მდიდარი კონტრაქტორები და ვაჭრები (უმთავრესად სომხები) და სხვა და სხვა სამწყობრო პოლკების ოფიცრები.

როგორც მოსალოდნელია, ტფილისის საზოგადოებაში არ არის საკმაო ერთობა (სოლიდარობა). ხალხი გარეგნულად საკმაოდ მეგობრულია შეხვედრისას და უყურებენ ერთმანეთს ჩუმად, სანამ ფორმალურად არ გაიცნობენ (როგორც ამას ინგლისელები აკეთებენ კლუბებსა და სხვაგან). თუმცა რუსებს რატომღაც არ უყვართ გერმანელები; გერმანელებსაც მოჩვენებითად უყვართ და ეჯავრებათ რუსები. ორივეს ეზიზღებათ სომხები, ასევეა საპასუხო გრძნობები. ამას გარდა პოლონელებს ეჯავრებათ რუსები, გერმანელები და სომხები (ყველა, ფაქტიურად ხშირად პიროვნულადაც). მაჰმადიანებს ძირითადად არ აკარებენ რუსულ სამსახურებს. მე ვფიქრობ, რომ ქართველები არიან ყველაზე შემწყნარებლები (ტოლერანტულები) და საერთოდ ყველასთან კარგად არიან.

უცხოელებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან დღის ცხოვრებას, ტფილისის საზოგადოება უქმნის დაბრკოლებას, რადგან საკმაოდ გამორჩევით ეწევიან ღამის ცხოვრებას. ზრდილი რუსები (ტფილისი რუსიფიცირებულია) [2] დგებიან დილის 10-11 საათზე, სვამენ ჩაის, აბოლებენ ერთ ან ორ სიგარეტს და მიდიან თავიანთი ოფისებისკენ, სადაც ისინი უფრო მეტს ეწევიან, ლაყბობენ და ცოტას მუშაობენ. სახლში ბრუნდებიან 2-3 საათზე სადილად, რაც საკმაოდ გრძელი საქმიანობაა; სადილის მერე იძინებენ; ბევრი მათგანი გახდილი წვება 6-7 საათამდე; ამის შემდეგ მიირთმევენ საღამოს ჩაის, რაც მოწევასა და შემოსულ სტუმრებთან საუბართან ერთად გრძელდება 9 საათამდე. ახლა დგება დრო საღამოს გართობის, ან კლუბში, ან პირადი სტუმრობით; აქ ცეკვავენ, საუბრობენ და თამაშობენ კარტს, რაც ყოველთვის გრძელდება 12 საათამდე, ხშირად დილის 3-4 საათამდე. შედეგად უცხოელი, რომელსაც სურს „ჩაერთოს დინებაში“, უნდა ეზიაროს რუსული ცხოვრების წესებს; და ეს შეეხება პიროვნებას, რომელსაც არ შეუძლია დაიძინოს დილის 7 საათის შემდეგ და შეჩვეულია ისაუზმოს დილით ადრე და დილითვე შეუდგეს მუშაობას. ყოველივე ნიშნავს ჩვეულებათა სრულ შეცვლას.

ეს არაა ყველაფერი, რადგან რუსი მომსახურე პირების მიერ საქმის გადადება და უსაქმურობა ცნობილია და სახეზეა მათ მიერ გართობისთვის პირველადი, ხოლო საქმისადმი მეორადი მნიშვნელობის მინიჭება. ინტელიგენტი უცხოელი ამაში ხედავს გადამდებს. შედეგად ცოტა უცხოელი უერთდება რუსებს; ისინიც კი, რომლებიც ხშირად წუხდნენ, რომ ეს ჩაიდინეს.

ზემოთ ასახული ცხოვრების სახე, საკვირველია, არ უნდა უშ-

ლიდეს ხელს სამხედრო თუ სამოქალაქო საქმიანობას. რუსი სამხედროები საერთოდ არ არიან ძალზე შეწუხებული პარადებით, წესრიგით, ან „მოვალეობით"; პარადები თუკი ტარდება, ინიშნება საღამოთი, ან წარმოებს ადიუტანტის[1] ხელმძღვანელობით, რადგან თავმომწონე პოლკოვნიკი და მისი უფროსი ოფიცრები არშიყობენ, კარტს თამაშობენ, ან სძინავთ (არასწორი იქნება, თუ ვიტყვით „არასდროს"). რუსი ოფიცრები არ ნახულობენ პოლკებს (ნაწილებს), გარდა საველე მანევრებისა და საზეიმო ვითარებისას.

ის სპეციფიკურობა, რომ მუდმივად იყვნენ უნიფორმაში, სხვათა შორის, არის ბუტაფორია (მოჩვენებითობა), დამახასიათებელი რუსეთისთვის. არა მარტო მოქმედი სამხედროები, არამედ ყველა სახის ჩინოვნიკები, ექიმები, საფოსტო კლერკები, რკინიგზის მსახურები და ა.შ., რომლებსაც არაფერი აქვთ არმიასთან საერთო, ატარებენ ხმლებს და ეფექტურ უნიფორმებს. ყველაფერი, რაც „ტურისტის" თვალს ხვდება, აფიქრებინებს მათ, რომ რუსები არიან უზარმაზარი მეომრული ხვედრის, ყოველდღიურ საქმიანობაში დაკავებული თავისი პროფესიისადმი კეთილგანწყობით.

დავუბრუნდეთ ჩვენ თემას, ვესტუმროთ ტფილისის საზოგადოებას, კლუბებს და კარტის პარტიებს. კლუბები სინამდვილეში არიან „სამორინეები", რომლებსაც ხშირად სტუმრობენ ქალბატონები; აქ ყოველ საღამოს იმართება ცეკვები, ხანდახან კი დიდი ბალები და ნადიმები.

„ჩინებული" კლუბია *კრუჟოკი;* შემდეგ მოდის *სომხური კლუბი,* რომელიც უცხოელთათვის უფრო საინტერესოა. *კრუჟოკი* არის სახალხო თავშეყრის ოთახი, რომელსაც სტუმრობენ მაღალი საზოგადოების წევრები, ისეთი, რომელიც შეიძლება ყველგან იხილო საკუთარი ფულით. მეორე მხრივ, *სომხურ კლუბში* შეხვდები კავკასიის აზიური მოდგმის ყველა სუბიექტს, კაცსაც და ქალსაც; აქ აზიური ცეკვები და მუსიკა ენაცვლება პოლკას, მაზურკას და ვალსს.

კარტი, ვახშამი და სმა, ასევე ბევრი დამახასიათებელი საუბარი და საინტერესო ინფორმაცია ქვეყნის შესახებ შეიძლება მოისმინო და გაიგო, რომ არაფერი ვთქვათ ურიცხვ ფლირტზე ნუშისთვალა ქართველ და სომეხ ლამაზმანთა ჯგუფებთან, რაც ბუნებრივად დიდად იზიდავს ახალგაზრდა სუბიექტებს.

---

[1] ესაა ყოველთვის ძალზე დაკავებული ოფიცერი, რომელსაც არ აინტერესებს „საზოგადოება" და ასრულებს ყველა დავალებას; ის ფაქტიურად მეთაურობს პოლკს.

გერმანული კოლონია [3] ესაა გრძელი ფართო ქუჩა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რომელსაც მივყავართ *მუშტაიდის ბაღებამდე*, დიდ სასეირნო ადგილამდე, იპოდრომამდე და რკინიგზის სადგურამდე. მას იყენებენ საღამოს ფეხით, ცხენითა და ეტლით სეირნობისთვის. ქუჩის ორივე მხარეს სახლები და ბაღებია. ეს არის კარგი ადგილი, სადაც გაზაფხულისა და შემოდგომის მშვენიერ საღამოობით იხილავთ ტფილისის არისტოკრატიას; ზაფხულობით კი ყველა მიდის აგარაკებზე ან მთებში. მუშტაიდის ბაღებში კვირაში ორჯერ უკრავს სამხედრო ორკესტრი (ბენდი). ეს გახლავთ სპარსული სტილის ლამაზად გამართული სასიამოვნო პარკი მდინარის ნაპირზე. სინამდვილეში ის ეკუთვნოდა სპარსელ *მუფტის* ანუ *მუშტაჰიდს;* აქედან წარმოსდგა მისი სახელიც. ფაეტონი ქალაქიდან [4] წაგიყვანთ იქით და უკან მანეთად.

სტუმრობის ღირსია ტფილისის *მუზეუმი* [5], განსაკუთრებით არქეოლოგებისთვის. კარგადაა წარმოდგენილი ეთნოლოგიური და ბუნების ისტორიის განყოფილებები. მას მთლიანად კურირებს პროფესორი **რადდე** [6], გერმანელი სწავლული, შეუპოვარი მკვლევარი, რომელმაც ბევრი იმოგზაურა მეცნიერებათა დასაუფლებლად არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთის იმპერიის მრავალ მხარეში[1].

აზიური ქალაქი იწყება *ერევნის მოედნის* [7] აღმოსავლეთ მხარეს; ამ მოედანზე განლაგებულია ორი მთავარი სასტუმრო, ბანკი, გენერალური შტაბი და სხვა ყურადსაღები შენობა. აქვე იმართება ყოველდღიური ბაზრობა, გარდა კვირა დღისა, რაც დაახლოებით დილის 11 საათის ფარგლებში წარმოებს.

მოედნის დატოვებისთანავე აღმოჩნდებით *სომხურ ბაზარში*, ან უბანში – ესაა გრძელი, ვიწრო ქუჩა, რომელიც თანდათან ეშვება მდინარისკენ; აქაა გრძელი რიგები იუველირების, ვერცხლის საქმის ოსტატების, მეტყავეების, მეიარაღეების, ადგილობრივი სამკერვალო დუქნების და სხვა. თქვენ შეგიძლიათ აქ შეიძინოთ სრული კავკასიური ან ჩერქეზული ჩასაცმელი: ჩოხა, ახალუხი, შალვარი, ფაფახი (ბეწვის ქუდი) და ყაბალახი; ასევე მთელი კომპლექტი პირადი შეიარაღების – ხმალი, ხანჯალი და დამბაჩა (ეს უკანასკნელი შეც-

---

[1] განათლებულმა ადამიანმა, ვინც ტფილისს სტუმრობს, უნდა გაიცნოს ნიჭიერი პროფესორი **ბერუე,** მთავრობის ისტორიკოსი, დოკუმენტების მფლობელი და ა. შ. ესაა უზარმაზარი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მცოდნე პიროვნება და ერთ-ერთი პირველი ორიენტალისტი დღეს.

ვალა ინგლისურმა რევოლვერმა) – 100 მანეთად, ან 10 ფუნტი სტერლინგის ბანკნოტად, თუკი გადაწყვეტ იხეტიალო ცხენით ქვეყანაში გარკვეული ხნით (ესაა ქვეყნის შეცნობისთვის საუკეთესო გზა). ჩემი აზრით, ეს არაა ცუდი სამოსი გარეთ დაბანაკების დროს. ის გადაგირჩენთ თქვენ ევროპულ ტანსაცმელს, რომელიც შეგიძლიათ ატაროთ ქალაქებში. თქვენ არასდროს გამოიყურებით მასში ჭუჭყიანად და არაფაქიზად, თუკი დაიბანთ ხელ-პირს, რასაც ალბათ ყოველთვის აკეთებთ. მაშინ როცა მთებში ერთი კვირა სიარულის მერე ჩვეულებრივ ევროპულ სამოსში გექნებათ მაწანწალის შესახედაობა. ის ძილის დროს შეუდარებელია ალპური კლუბის წევრებისთვის; კარგი იქნებოდა ზემოდასახელებული სამოსი ჩაედოთ ბარგში ღამით გამოსაცვლელად. მე მჯერა, რომ ბატონები **გროუვი**, **მური**, ან **ფრეშფილდი** კავკასიონის ხელახალი სტუმრობისას გაიზიარებენ ჩემ რჩევას და მადლობელი დარჩებიან [8]. თუმცა, თუ შეეჩვიე მის ტარებას, უნდა შეგეძლოს რუსულად ან თურქულად ლაპარაკი... არ უნდა დავუშვათ, თითქოს მე ვფიქრობ შთვაგონო მოგზაურს ატაროს ფრაკი ან უნიფორმა მთელ ქვეყანაზე – მაგ., არარატზე ან ყაზბეგზე ასვლისას. მაგრამ, თუ მას სურს ისიამოვნოს, უნდა ერთ-ერთი ატაროს როცა მიიწვევენ მაღალჩინოსანთან, ან ელოდება მიპატიჟებას სადილად. ქალაქებში ჩემოდანი არ დაამძიმებს; თუ ის ემორჩილება ამ ტრადიციებს, ეს აამაღლებს რუსების თვალში, რაზეც იქნება დამოკიდებული მისი მოგზაურობის წარმატება.

სომხური ბაზრის მერე, ზედ მდინარესთან, რომელიც აქ ძალზე ღრმაა და მიედინება ვიწრო, ციცაბო და საკმაოდ მაღალ კლდეებს შორის მოქცეულ კალაპოტში, და გადებულია ორი, ერთმანეთის ახლოს აგებული *ხიდი*, არის *დახურული ბაზარი*, დიდი სავაჭრო ცენტრი საცალო საქონლის და მანჩესტერული ქსოვილების. თუკი მასზე გაივლი, გახვალ *თათრის მაიდანზე* (ესაა ძველი თურქული საბაზრო ადგილი); ის მდებარეობს ციხის ნანგრევებს [9] ქვემოთ, რომელიც აუგია **მუსტაფა ფაშას** XVI საუკუნეში [10], როცა ოსმალები ერთ ხანს ბატონობდნენ კავკასიაში. ამ ადგილის შუაგულში დგას გრძელი შეღებილი ძელი, რომელიც გამოყენებულია ფლაგშტოკად. ეს ძელები (ისინი დღესაც იმავე დანიშნულებისაა ინდოეთში ჩვენს ბანაკებსა და სამხედრო დასახლებებში) მიუთითებენ წარსული დღეების უზარმაზარ თურქულ და თათრულ გასაჩერებელ (საბანაკო) ადგილებზე და დღევანდელ ბაზარზე არის ორიენტირი კარვების, აღალის, აქლემების და ურმების სიმრავლეში, რომლისკენაც

ადგილობრივი იკვლევს გზას შემოტანილი სანოვაგით.

აქ მოგზაურს შეუძლია თავის აღჭურვილობას მიუმატოს წყვილი „ხურჯინი“, ან ყველა ფასის და ხარისხის უნაგირის საპალნე, ხოლო შემდეგ ხიდით გადავიდეს [11] ***სპარსული ქარვასლისკენ***, სადაც შეიძენს „ბურკას“ ან ქეჩის მოსასხამს (ნაბადი – გ. გ.), ურომლისოდაც ცუდად იგრძნობს თავს მთებში. აზიური ყოველგვარი უნაგირი აქ ძალიან კარგი ხარისხისაა და ხელმისაწვდომი. „ნუკტა“ ანუ ავშარა და ღვედი აუცილებლად საჭიროა, ასევე კაზაკური მათრახი. ძლიერი აზიური ლაგამი (აღვირი), დაბოლოებული გრძელი ცალფა კნუტითა და ცალუღით, უფრო გამოსადეგია და მოსახერხებელი, ვიდრე მათი ევროპული ორეული.

როგორც კი გადახვალთ *ქვედა ხიდით*, რამდენიმე იარდზე, ავლაბრის ციხე-*საპატიმროს* ქვემოთ (ესაა ბასტილიის მსგავსი ფლატეზე, რომელიც დაბლა გადმოსცქერის მდინარეს), გაუვლით ერთადერთ *მეჩეთს* ტფილისში. ესაა უპრეტენზიო შენობა ლურჯი *მინარეთით* [12]; მარცხნივ შეხვევისას მიხვალთ ნამდვილ *„თათრის ბაზრამდე“*, რომელსაც მივყავართ *აბანოებისკენ*. აქ ყოველთვისაა მრავალფეროვანი ბრბო, რომელიც ბრძოლითა და ძალით მიიწევს ვიწრო ქუჩაზე, რაც სველ ამინდში გადაიქცევა შავ ტალახიან საფლობად. განსაკუთრებული სუნი გეცემათ ცხვირში; თუკი გადაურჩებით და ძირს არ დაგცათ აქლემებმა, ჯორებმა, სახედრებმა, რომლებსაც, მძიმედ დატვირთულებს, სწრაფად ერეკებიან, თქვენ გეჯახებათ სხვადასხვა ველურიც. საზიდრების მწკრივი, ცხენოსანი მოგზაურების ჯგუფები, კაზაკები და საფოსტო საზიდრები ასევე ხშირად გრიყავენ გზიდან, რომლის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია სპარსელთა სასაუზმეები და სასადილოები. დაბინდებისას გაუფრთხილებელ მოგზაურს შეიძლება უნაგირიდან ააჭრან საპალნე: ეს განსაკუთრებული „პატარა თამაში“ არის „თათრის ბაზრის“ მახასიათებელი.

ბუნებრივი მინერალური წყაროების ცხელი წყალი, თუმცა არც ისე ცხელი, რომ ვერ გაუძლო, კარგი სააბაზანო ოთახი ვესტიბიულით ან გასახდელით, ერთი საათი ღირს ერთი მანეთი; ოცი წუთი სავსებით საკმარისია უმრავლესი ხალხისთვის. მომსახურებაში შედის საპონი და პირსახოცები. თავის დაბანვა მიღებული წესით დამატებით ღირს. თქვენ ბანაობთ ზემოდასახელებულ დროში; თუ გადააცილებთ მას, იხდით მეორე საათის საფასურს. ორი ადამიანი იმაზე მეტს არ იხდის, ვიდრე ერთი (ოთახები სამყოფია ექვსი კაცისთვისაც). ცივი ფრინველი, ღვინო ბოთლებში და სხვა მომსახუ-

რება შეგიძლიათ მიიღოთ ცალკე შეკვეთით და გადახდით.

მას შემდეგ, რაც ოფლს მოიდენს, გაისაპნება, თავს დაიბანს, გადაივლებს ცივ წყალს (თითო სააბაზანოში დგას ცივი წყლის ცისტერნა), სტუმარს შეუძლია მიიღოს ფინჯანი ყავა მეზობელ თათრის დუქანში, სადაც, თუკი ლაპარაკობ თურქულად ან რუსულად, შეიძლება ხშირად გაიგო გასაყიდი კარგი ცხენის შესახებ. ან სტუმარს შეუძლია შეამოწმოს ღვინის სარდაფები, რომლის ერთი ან ორი ქუჩა ესაზღვრება (უერთდება) მაიდანს – მიუხედავად ძალზე არამიმზიდველობისა, საცავი ფლობს უამრავ საუკეთესო ადგილობრივ ღვინოს. ან კიდევ სტუმარს შეუძლია ესტუმროს სპარსულ ქარვასლას და საგულდაგულოდ გასინჯოს (დაათვალიეროს) სხვადასხვა ნახელავი ნოხები დაღესტნიდან, ხორასნიდან და თურქმანეთიდან; ანდა მოინახულოს ვერცხლის საქმის ოსტატთა მაღაზიები.

ბევრი კურიოზული ამბებია დაკავშირებული ამ აბანოებთან, რომელთა უმრავლესობა საკმაოდ უხერხული დასაბეჭდია.

იყო აქ ლეიტენანტი **ზ-**, რუსი ოფიცერი, რომელიც იყო კარგი გვარის და ჰქონდა მაღალი კავშირები. რამდენიმე წლის წინ მან მოკლა მეეტლე, რომელმაც უარი უთხრა წაეყვანა ლეიტენანტი და ორი მეგობარი ქალბატონი (ასევე მაღალი საზოგადოებიდან), რომლებიც იყვნენ ჯერ ბალზე და შემდეგ ესტუმრნენ აბანოს, მუშტაიდის ბაღებისკენ, სადაც სურდათ ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე გაეტარებინათ დარჩენილი საღამო (იყო დაახლ. დღის 3 საათი).

დისციპლინის ასეთი დარღვევისთვის ლეიტენანტი გადაეცა სამხედრო ტრიბუნალს და მიუსაჯეს ციმბირში გადასახლება. თუმცა საბოლოოდ გადარჩა ერთწლიანი მკაცრი პატიმრობის შემდეგ მთავარ საყარაულოში და ჩინის ჩამომცრობით, რადგან ჰყავდა გავლენიანი მეგობრები. მე ვფიქრობ, რომ ბოლო ომის დროს აღიდგინა დაკარგული.[1] ერთხელ რუსი ოფიცრისგან გავიგე ამ „ინციდენტის“ შესახებ,

---

[1] აი, რა დაემართა ლეიტენანტ **ბ**-ს: ახალგაზრდამ „მიიტაცა“ სკამი, რომელსაც ეყრდნობოდა იმპერატორი ბალების დროს სტ.-პეტერბურგში. მან საქმე უფრო გაიფუჭა, როცა თავისი შეცდომა შემდეგნაირად ახსნა: „მაპატიეთ თქვენო უდიდებულესობავ; მე ვიფიქრე, რომ ეს რომელილაც გენერალს ეკუთვნოდა“. იმპერატორმა უთხრა: „მე გასწავლი გენერლების პატივისცემას“ და უბრძანა გაეგრძელებინა სამსახური როგორც კერძო პირს კავკასიაში. თუმცა სოციალურად და მატერიალურად ძველებურად კარგად გრძნობდა თავს: სა-

რომ დამნაშავე მთლიანად მეეტლე იყო და ლეიტენანტი არ უნდა დაესაჯათ; რომ მან სამართლიანად დაარტყა მუშტი მეეტლეს, რომელმაც უარი უთხრა ნაყვანაზე და შეურაცხყოფდა მასთან მყოფ ქალბატონებს უწმაწური სიტყვებით. მეეტლემ უხეშად სტაცა ხელი ზ-ს და სცადა ძირს გადაგდება. ზ- იყო უნიფორმაში; ეს კი უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა ფორმის. ამით ამართლებდა ის შურისძიებას.

როგორც მოსალოდნელია ნაირგვარი მოსახლეობისგან, რომელიც ცხოვრობს სარდაფის ბნელ ლაბირინთებში და ვიწრო შესახვევებში, ხშირად მიწის ქვეშაც აზიურ ქალაქში, თავდასხმები, ჩხუბი, ყაჩაღობა და მოტაცებები არ უნდა წარმოადგენდეს იშვიათობას. მე მჯერა, რომ „ძალადობრივი ყაჩაღობა" უნდა ხდებოდეს უფრო ტფილისს გარეთ, ვიდრე თვით ქალაქში, სადაც ყველაფერი პოლიციურად ეფექტურადაა ყურადღებამიქცეული.

საერთოდ საქართველოში (გეორგიაში) არის ერთი-ორი ცნობილი ყაჩაღი, გარდა სტეპების თათრებისა და თურქებისა, რომლებიც არიან არაპროფესიონალები, ხშირად რეალურები, როგორც მესაქონლეები.

უკანასკნელი ცნობილი ყაჩაღი იყო **ტატო სალოკიძე**, რომელიც ჩამოახრჩვეს ტფილისში 1880 წელს. ის იყო კარგი ქართული ოჯახიდან, მაგრამ მუდამ „ველური"; ყაჩაღობდა რამდენიმე წელი გზებზე ტფილისსა და საზღვრებს შორის. იყო პატარა ბანდის მეთაური; მის სახელზეა 12 თუ 15 მკვლელობა.

მე ერთხელ შევხვდი მას პატარა დუქანში ძველ თურქულ ციხე ჯელალ ოღლისთან, სადაც დავრჩი ღამის სათევად ალექსანდროპოლიდან მომავალ გზაზე, ზუსტად ომის წინ. რა თქმა უნდა, მაშინ მე არ ვიცოდი ვინ იყო ის. მისი დასჯის მერე მოხდა ისე, რომ შევიძინე მისი და მისი ერთი ამხანაგის ფოტო, გადაღებული საპატიმროში ბორკილებში. მე გავიხსენე მისი მკაცრი, უფრო სწორად სევდიანი (მელანქოლიური, დათრგუნული) გამომეტყველება. ტატო ხშირად მოდიოდა ტფილისში. 1878 წელს მან და მისმა „მეგობარმა" მოკლეს მაღაზიის პატრონი ქალაქის ყველაზე ფეშენებელურ ქუჩაზე, დიდი მთავრის სასახლის [13] ახლოს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე, შემდეგ მშვიდად მოშორდნენ იქაურობას. ამ მკვლელობის გამო ორი უდანაშაულო კაცი დაიჭირა პოლიციამ იმავე საღამოს ჩხუბის-

---

დილობდა საუკეთესო სასტუმროებში, ესწრებოდა ბალებს, ნადირობას და კარგად იღებდნენ ყველგან მაღალ საზოგადოებაში.

თვის და დასაჯეს. შემდგომში ტატომ გასროლით მოკლა პოლიციელი თათრის მაიდანზე, რომელმაც მოინდომა მისი დაკავება, როცა ის ჯდებოდა საზოგადო ტრანსპორტში; შემდეგ მშვიდად გაემგზავრა. ის დაიჭირეს ყარსის ახლოს, ჩემი აზრით, როცა ეძინა ერთ-ერთ ღვინის დუქანში.

რაც შეეხება კავკასიაში მოგზაურობისას დაყაჩაღების საფრთხეს, მე არ ვფიქრობ, რომ აქ უფრო საშიშია, ვიდრე სიცილიაში, კალაბრიაში, ალბანეთსა და სხვა ველურ მხარეებში, სადაც ადამიანები მოგზაურობენ, მაგრამ წინდახედულობა მაინც აუცილებელია... მე ბევრი ვიმოგზაურე, ხშირად მარტოდ-მარტომ დასავლეთ კავკასიაში და სამხრეთ პროვინციებში; ასევე ჩერქეზეთში, ორჯერ კასპიის ზღვისკენ, ანდა ხშირი გასვლები ტფილისის ირგვლივ მთებსა და ტყეებში, მაგრამ არასდროს თავს არ დამსხმიან, თუმცა მაფრთხილებდნენ. მე ყოველთვის შეიარაღებული ვჯდებოდი ცხენზე და ვიყავი მზად. მე მჯერა, რომ გარდა „ძალიან მაგრებისა", ყაჩაღი არ დაესხმება თავს კარგად შეიარაღებულ მხედარს, რომელიც იოლად არ „დათმობს" ცხენსა და იარაღს.....

[ავტორი ეხება სოფლად მოსავლის ქურდობას და ამბობს] – კრიმინალი ვირტუალურად რჩება დაუსჯელი; სოფლის პოლიცია და მოსამართლე თვითონ უწყობენ ხელს, ან არიან კავშირში ქურდებთან და ყაჩაღებთან... მოსახლეობის ყველა ფენას აქვს თავისი მეთოდები: განსწავლული **სომეხი**, რომელიც არაფერს წარმოადგენს, თუ არაა ცივილიზებული, მიზნად არჩევს დახვეწილ ევროპულ ქურდობას, თაღლითურად გაბანკროტებას, აფერისტულ ქმედებას, სადაზღვევო ოფისების გაქურდვას და სხვა. **ქართველები** – „ინდუსტრიული" ქურდები, ტყუიან კარტის თამაშისას, იპარავენ ცხენებს... **თათრები** ფიქრობენ ნაძარცვ ალაფზე, როგორც ომის შედეგზე; სტილია განადგურება; აყაჩაღებენ ბაღებს და მსგავს მცირე ბიზნესს. მსხვილი რქოსანი საქონლის პარვა მაღალ დონეზეა – 1000 ცხვარიანი ფარის, ან მოზვრების ნახირის გადარეკვა და ა. შ.

მცირე კომენტარები:

[1] ფოთი-თბილისის რკინიგზა გაყვანილ იქნა 1865-1872 წლებში.

[2] „ტფილისი რუსიფიცირებულია" – ასე ხაზგასმით სხვა მოგზაურებს არ უთქვამთ.

[3] საქართველოში გერმანელთა გადმოსახლება ხდება ალექსი

პეტრეს ძე ერმოლოვის (1816-1827) მთავარმართებლობისას. 1818 წელს თბილისიდან 3 ვერსზე, სოფელ კუკიასთან დაარსდა კოლონია „ნოი-ტიფლისი“ (ახალი ტფილისი). შემდეგ ის გაფართოვდა ყოფილი მიხეილის (ამჟამად დავით აღმაშენებლის) გამზირისკენ და 1852 წელს შეუერთდა ქალაქს.

[4] მუშტაიდის ბაღები ალბათ ჯერ არ ითვლებოდა უშუალოდ ქალაქის ტერიტორიად.

[5] კავკასიის მუზეუმი დაარსდა 1852 წელს, როგორც სამხარეთმცოდნეო დაწესებულება. 1864 წელს ის დაიხურა; აღდგენილ იქნა 1865 წელს გუსტავ რადდეს ინიციატივით. საზეიმოდ გაიხსნა 1867 წლის 2 იანვარს. 1911 წელს დაიხურა ავარიულობის გამო, მაგრამ იქვე დაიწყო ახლის შენება. 1919 წელს დაარსდა საქართველოს მუზეუმი კავკასიის მუზეუმის ბაზაზე, რომელიც 1947 წლიდან ატარებს სიმონ ჯანაშიას სახელს.

[6] გუსტავ ივანეს ძე რადდე (1831-1903) ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი და გეოგრაფი. 1867 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. ყველა ჩამოსულ მოგზაურს უწევდა დახმარებას. თვითონაც ბევრი იმოგზაურა საქართველოში და უძღვნა ნაშრომები: „ოთხი მოხსენება კავკასიის შესახებ“, „ხევსურები და მათი ქვეყანა“, „მოგზაურობა სამეგრელოს მაღალ მთებში“, „მოგზაურობა სვანეთში“.

[7] დღევანდელ „თავისუფლების მოედანს“ ერქვა „ერევნის მოედანი“ მთავარმართებელ გრაფ პასკევიჩის (1827-1831) მიერ ერევნის აღების პატივსაცემად.

[8] XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მეცნიერ-მთამსვლლები, რომლებმაც დალაშქრეს კავკასიონი.

[9] ესაა „დედა ციხის“ („შაი ტახტის“) ნანგრევები.

[10] ქალაქის ციტადელის („თავადი ციხის“) უმაღლეს წერტილზე იყო დიდი მრგვალი კოშკი (ვახუშტის მიხედვით, „სტამბოლის გოდოლი“), რომელიც, შარდენის თქმით, აუშენებია მუსტაფა ფაშას 1576 წელს. სულთან სულეიმანის ეს სარდალი იყო ცნობილი მუსტაფა ლალა ფაშა; ციხე კი 1578 წელს უნდა იყოს აგებული.

[11] ამ ხიდით გადადიოდნენ ავლაბარში – მეტეხის ხიდი „თათრის მოედანთან“.

[12] მინარეთი იდგა ხიდის თავში, რომელიც კარგად ჩანს ძველ ფოტოებზე.

[13] ეს გახლდათ 1865-1868 წლებში გადაკეთებულ-გაფართოებული მთავარმართებლის სასახლე (იგივე ყოფილი პიონერთა სასახლე რუსთაველის გამზირზე).

Gia Gelashvili

Doctor of Hidtory, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

English Traveller Elim Henry D'Avigdor about Tbilisi

Summary

The description of Tbilisi given by foreign travellers gives us an opportunity to watch the evolution of the city. One of these travellers is Elim Henry D'Avigdor (1841-1899). He wrote his travel book "Notes on the Caucasus" (London,1883) under the pseudonym "Wanderer".

We translated suitable material from D'Avigdor's work, where he describes the conditions of Tbilisi, its parts, streets, bridges, fortifications, merchandize, museum. He describes Tiflis society, its population, public amusements (clubs, card parties, dancing), baths, menners and customs. He tells also about brigand Tatoo Salokidze.